

## ძველი ქართული სალიტერატურო ენის ნიშანდობლიობები აკაკი წერეთლის შემოქმედებაში

გელდიაშვილი ნუნუ

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი

**აბსტრაქტი.** მრავალმხრივი და მრავალწახნაგოვანია აკაკის შემოქმედება. პრაქტიკულად არ არსებობს სფერო, რომ მას თავისი სიტყვა არ ეთქვა პოეზიით, პროზით, პუბლიცისტიკითა თუ საზოგადო მოღვაწეობით. აკაკიმ, უდავოდ, დაამკვიდრა „მრავალმხრივი მწერლის ტიპი, რომელიც ერთნაირი ძალით მიმართავს პროზას, პოეზიას, პუბლიცისტიკას, დრამატურგიას, თარგმანებს, საბავშვო ლიტერატურას, იგავ-არაკებს“. ჩვენი თქმით, ის „გამოუსწორებელი“ ოპტიმისტი იყო და ღრმად სწამდა მომავლის. საოცარი დატვირთვის მქონეა მისი სიტყვები: „მერცხალი რომ კიდევ მოჰკლა/მაინც მოვა გაზაფხული“... ამ სიტყვებში, ძლიერი ემოციის ფონზე, საკმაოდ მძაფრად და კარგად მოჩანს კავშირი ძვალსა და ახალს შორის... სწორედ ამან განაპირობა მოხსენების მიზანიც და კითხვის დასმაც - რა როლი აკისრია ძველი ქართულის ფორმების გამოყენებას აკაკის შემოქმედებაში?!

ნაშრომში მიმოხილულია ისეთი ნიმუშები, როგორცაა: 1. საკუთარი სახელის სახელობით ბრუნვაში ფუძის სახით (წრფელობითის ფორმით) გამოყენება; 2. მოთხრობითში -მან დაბოლოება; 3. ამ და ეგ ჩვენებითი ნაცვალსახელების სრული ფუძეების შემთხვევები; 4. -ზე თანდებულის პარალელურად -ზედ და -ზედა ფორმები; 5. გამოსვლითობის ფუნქციით -ით სუფიქსიანი მოქმედებითის (უთანდებულო) ფორმები; 6. მსაზღვრელ-საზღვრულის პოსტპოზიციისა და სრული შეთანხმების ნიმუშები; 7. პირის ნიშანთა გამოყენების, როგორც ძველი ქართულის ანარეკლის, თავისებურებები (გწყალობდეს...; გამოვჰკითხავ...; ჰსვამ...; ჰნიშნავს...; წარმოსთქვა...; გასტეხე...). 8. შედარებისათვის ვით კავშირის გამოყენება და სხვა.

ამდენად, თუ დავსვამთ კითხვას ძველი ქართულის ფორმათა ფუნქციის შესახებ აკაკის შემოქმედებაში, გამოიკვეთება, რომ ისინი 1. შეიძლება, რიტმისათვის/ემოციისა და ექსპრესიისათვის, ანდა, 2. შეიძლება, ტრადიციული ფორმების დასაცავად, ძველ ქართულთან კავშირის შენარჩუნებაზე, როგორც საიმედო დასაყრდენზე (ინახავსო, თითქოს, ამ ფორმებს), მიგვანიშნებენ; აღსანიშნავია ისიც, რომ ასეთი ფორმები თითქმის თანაბრადაა გადანაწილებული/ასახული აკაკის პროზასა და პოეზიაში, რაც კიდევ უფრო აძლიერებს აზრს ძველისა და ახლის კავშირის ჩვენებისა და ამ კავშირის შენარჩუნების სურვილის სასარგებლოდ, რომ ძველი არ უნდა დავივიწყოთ, მუდამ გვახსოვდეს, საიდან მოვდივართ და ვინ ვართ....

ეს ფაქტი, რა თქმა უნდა, სრულიადაც არ ეწინააღმდეგება იმ აზრს, რომ აკაკი იმ თაობის წარმომადგენელია, რომელმაც თამამად უარყო ძველი ენობრივი ნორმები და

ხელი შეუწყო სალიტერატურო ენის დემოკრატიზაციის (სასაუბრო ენასთან დაახლოების) პროცესს.

**საკვანძო სიტყვები:** ძველი ქართული სალიტერატურო ენა; ნიშანდობლიობები; აკაკი წერეთელი

### შესავალი.

მრავალმხრივი და მრავალწახნაგოვანია აკაკის შემოქმედება. პრაქტიკულად არ არსებობს სფერო, რომ მას თავისი სიტყვა არ ეთქვა პოეზიით, პროზით, პუბლიცისტიკითა თუ საზოგადო მოღვაწეობით. აკაკიმ, უდავოდ, დაამკვიდრა „მრავალმხრივი მწერლის ტიპი, რომელიც ერთნაირი ძალით მიმართავს პროზას, პოეზიას, პუბლიცისტიკას, დრამატურგიას, თარგმანებს, საბავშვო ლიტერატურას, იგავ-არაკებს“. ჩვენი თქმით, ის „გამოუსწორებელი“ ოპტიმისტი იყო და ღრმად სწამდა მომავლის. საოცარი დატვირთვის მქონეა მისი სიტყვები: „მერცხალი რომ კიდეც მოჰკვლა/ მაინც მოვა გაზაფხული“ ... ამ სიტყვებში, ძლიერი ემოციის ფონზე, საკმაოდ მძაფრად და კარგად მოჩანს კავშირი ძვალსა და ახალს შორის... სწორედ ამან განაპირობა მოხსენების მიზანიც და კითხვის დასმაც - რა როლი აკისრია ძველი ქართულის ფორმების გამოყენებას აკაკის შემოქმედებაში?!

### მსჯელობა.

აღსანიშნავია, რომ აკაკი წერეთელი გარკვეულ შემთხვევებში საკუთარ სახელს არ აფორმებს ბრუნვის ნიშნით და წარმოგვიდგენს ძველი ქართული სალიტერატურო ენისათვის დამახასიათებელი ნორმით - ფუძის სახით. ფაქტობრივად, აღადგენს წრფელობით ბრუნვას: **ზაალ** ოთახში შევიდა“; „დილით ადრე გამოსულიყო **ზაალ** აივანზე“; „**ზაალ** მოთმინებით გამოდიოდა“; „ეს რომ უთხრა, შეკრთა **საფარ**“; „მორჩილებით გულ-მკერდს უშვერს **საფარ**, მისი გამოზრდილი“; „მაგრამ **უსუბ** ეუბნება: „შენ სიკვდილის რა ღირსი ხარ?!“. ერთი შეხედვითაც იგრძნობა, რომ ეს ფორმები რითმისათვის არაა/ნაკლებადაა - სავარაუდოდ, უფრო ემოციისა და ხაზგასმისათვის, შეიძლება ითქვას, მჭერმეტყველებისათვისაა.

საანალიზო ტექსტებში თვალშისაცემია ზოგჯერ მოთხრობით ბრუნვაში სრული ფორმით (-მან) დაბოლოების ნიმუშები: „**მზემან** სხივი მომაფინა მაშინა“. ჩვენი აზრით, ხაზგასმა მოქმედ სიტყვაზე/სახელზე - მზე.

თუ დავუკვირდებით, როგორც ძველი ქართულისათვის დამახასიათებელი ნიშანდობლიობა, აკაკის შემოქმედებაში საინტერესოდ გამოიყურება **ეგ** და **ამ** ჩვენებითი ნაცვალსახელების გვერდით მათი სრული ფუძეების გამოყენება: **ეგე** და **ამა**: „მოყვარული დედისათვის **ამა** სოფლის ნეტარება იყო დასახლება მისი გიორგისა“; „სთქვი, ხუმარავ, თუ რას ჰნიშნავს **ეგე** შენი გამოცანა“ (სავარაუდოდ, მინიშნებაა გაძლიერებული).

-ზე თანდებულის პარალელურად ხშირია **-ზედ** და **-ზედა** ფორმები, რომლებიც, უდავოდ, ეფექტის, ემოციისა და გამაძლიერებლის ფუნქციის მატარებელია: „**სერზედ** შევდექე, ჰმუნვის ალი მენელა“; „თუ ამ **სერზედ** თავს ვერ ვგრძნობდი ნეტარად?“, „მაშინ ის ყოველ **პირუტყვზედაც** უპირუტყვესი შეიქმნება ხოლმე“; „მდიდრის **პურმარილზედ** გაწუწუებული, რასაკვირველია, ძალაუნებურად, **განზე** უდგებოდა მამაშენს“; „დაიკრა **მუხლებზე** ხელი და ერთხელ **ყბაზედაც** ჩამოისვა“... დიახ, თუ შევუდარებთ ერთმანეთის გვერდით, ერთ წინადადებაში არსებულ პარარელურ ფორმებს (**მაგ**:

**პურმარილზედ/განზე; მუხლებზე/ყბაზედაც),** ადვილად მისახვედრია, რომ ძველ ფორმას მწერალი იყენებს მიზანმიმართულად - სწორედ იმ სიტყვებთან, რომელზეც ყურადღების გამახვილება სურს და არა უსისტემოდ, არეულად. ყოველივე ეს ნათელს ხდის, რომ აკაკი განუკითხავად კი არ აცოცხლებს მათ, არამედ - გამიზნულად, ფუნქციურად სემანტიკურად ტვირთავს მათ.

ვფიქრობთ, განსაკუთრებული მხატვრობის (ძველისა და ახლის კავშირის) მატარებელია გამოსვლითობის ფუნქციით **-ით** სუფიქსიანი მოქმედებითის (უთანდებულო) ფორმების გამოყენება: „თავზე ნათლის სვეტი ადგათ და **მალლით** გალობა გუნდთა ისმოდა“. ეს წინადადება, მგონი, კარგად გვიჩვენებს, რომ აკაკიმ ზუსტად იცის, როდის გააცოცხლოს ძველი ნორმა (შდრ. აქვე: **თავზე**), რაზე, სემანტიკურად რომელ სიტყვაზე, მიაქცევინოს მკითხველს ყურადღება (**მალლით**); აშკარაა, ძველისა და ახლის შერჩევისას ნამდვილად ვერ ვიმსჯელებთ მხოლოდ რითმის მისაღწევ შესაძლებლობაზე, ასეთ დროს მწერალი უმეტესად აშკარად სხვა კანონზომიერებით სარგებლობს.

„დროა, ამოდი **ქარქაშით** / აღარ გაქვს აწ მანდ ბინაო“; მოწყვეტილი ცით ვარსკვლავი / ედემს ალვად ასულია“; „რომ გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება **ღვთით...**“

მსაზღვრელ-საზღვრულთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ აკაკი საკმაოდ ხშირად ანიჭებს უპირატესობას პოსტპოზიციისა და/ან სრული შეთანხმების ნიმუშების გამოყენებას: „**დიდს პატივში** ვეყოლები“; „საგრძნობლად შეუთანხმებია თავისი **ძლიერის ჩანგის სიმები**“; „**მე ჩემის მხრით** ვერც არას გავბედავ“...;

„გპატრონობს **გული ფოლადი**“; „მდინარე ნანას უმღერის **რაინდსა ურჩსა მტრისასა**“; „თუმც-კი სხვა დროს არ იკადრებს / ამას **კაცი თავმომწონე**“...

პირის ნიშანთა გამოყენებისას, როგორც ძველი ქართული სალიტერატურო ენის ანარეკლი, არაერთი თავისებურება შეინიშნება; ზოგჯერ ახსნაც კი ჭირს, თუმცა, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ძალზე შთამბეჭდავად გამოიყურება:

ა/. შენარჩუნებულია მესამე სუბიექტური პირის ნიშანი -ს ობიექტის სიმრავლის გამომხატველ -თ სუფიქსის წინ: „**გწყალობდესთ** და **გიწინამძღვროსთო**“; „**გასულდგმულესთ**“; „**გაგისტუმრესთ**“; „**გატანიოსთ**“; „სწორედ იმერელი კი უნდა **გახლდესთ...**“; „ხუმრობა არ **გახლავსთ...**“.

ბ/. პირველი სუბიექტური პირის ნიშნის გვერდით გვხვდება ობიექტური პირის გამომხატველი -ჰ/-ს პრეფიქსი: „**გამოვჰკითხავ** მას მიზეზსო“; „**ვსთქვი**: „ცხოვრებავ, მეც ერთ კაცად მიწამე“; „გამიკვირდა! „**ვსთქვი-მტერს** როგორ მონებდა?“; „ხომ ხედავთ, აღარ **ვსტირი** მე“.

გ/. ჭარბადაა ნიმუშები, სადაც სუბიექტური მეორე და პირდაპირი ობიექტური მესამე პირის ნიშნად, ძველი ქართულის ნორმის მსგავსად, წარმოდგენილია -ს/-ჰ პრეფიქსები: „უნდა, რომ ჯერ კახეთი **ჩაჰყლაპოს** ხელმეუშლელად“; „დაშლიდა ნიაღვარი და **ჩამოჰყრიდა** წყალში“; „**ამოჰყო** ცხენმა თავი“; „**ჰყვიროდა** ერისთავი“; „**ჩაჰყო** თავი წყალში“; „**რა ჰქენი?** მოურავო?“; **ჰხედავს** იქვე მის ქვეშაგებს“; „**დაჰბარეთ**, თქვენი ჭირიმე“; „**სთქვი**, ხუმარავ, თუ რას **ჰნიშნავს** ეგე შენი გამოცანა“; „**სჩანს**, ნამუსი შეუნახავს“; ძლივს **წარმოსთქვა**: „მართალი ხარ!“; „რომ **გასტეხე**, ის გეყოფა სიკვდილამდე შენ საკვნესად“; „**წარმოსთქვა** და საფეთქელში მიიჭედა ცხელი ტყვია“; „**გამოსჭერთ**“, ახლაც ვყვირი მე“; „**სთქვით** რამე, თქვენი ჭირიმე“; „დიდხანს **გასტანა**“

მათმა საუბარმა“...

საერთოდ, ცალკე შეიძლება ვრცლად მსჯელობა ლექსიკურ ერთეულებზე, რომლებიც ძველი ქართულისათვისაა დამახასიათებელი და რომლებიც ცალსახად ადასტურებს მწერლის სურვილს, კავშირი არ გაწყვიტოს წარსულთან, ფესვებთან, ისტორიასთან, საიდანაც მოვდივართ, საიდანაც ვარსებობთ და რაც გვასულდგმულებს...: „სასოება არ წარკვეთიათ“; „დავითნი გაშალა“; „გულში გულს სდებს, სულში სულს სცვლის, ხორცს ეწმახვნის სურო-ვაზი!“; „ცაში დასკვნილა სურვილი“; „ ზღვა და ხმელი მოვლილი აქვს“; „წიგნი მოგართვით“; „საფლაგზედაც მარმარილოს ქვა დაადეს ზედწარწერილი“; „ცაზე იბეჭდება წინასწარი ზედწარწერით“ (ცნობილია, რომ ძველ ქართულში „წარწერის“ ნაცვლად „წარწერილი“, „ზედაწერილი“ გამოიყენებოდა). საინტერესოა, შემთხვევები, როცა შედარებისათვის ვით კავშირია გამოყენებული როგორც კავშირის ნაცვლად: „ბედმა ესეც არ დააკლო / განასხვავა, ვით რჩეული“; „წმინდა არის, ვით ლამპარი“.

**დასკვნა.** ამდენად, თუ დავსვამთ კითხვას ძველი ქართულის ფორმათა ფუნქციის შესახებ აკაკის შემოქმედებაში, გამოიკვეთება, რომ ისინი 1. შეიძლება, რიტმისათვის / ემოციისა და ექსპრესიისათვის; ანდა, 2. შეიძლება, ტრადიციული ფორმების დასაცავად, ძველ ქართულთან კავშირის შენარჩუნებაზე, როგორც საიმედო დასაყრდენზე (ინახავსო, თითქოს, ამ ფორმებს), მიგვანიშნებენ; აღსანიშნავია ისიც, რომ ასეთი ფორმები თითქმის თანაბრადაა გადანაწილებული/ასახული აკაკის პროზასა და პოეზიაში, რაც კიდევ უფრო აძლიერებს აზრს ძველისა და ახლის კავშირის ჩვენებისა და ამ კავშირის შენარჩუნების სურვილის სასარგებლოდ, რომ ძველი არ უნდა დავივიწყოთ, მუდამ გვახსოვდეს, საიდან მოვდივართ და ვინ ვართ.... ამ აზრს ისიც ამყარებს, რომ თითოეულ ნიშანდობლიობას, ცალკე აღებულს, მიუხედავად ზოგიერთი მათგანის სიუხვისა, არ გააჩნია სისტემურობა, ერთიანობაში კი ყველა ხაზგასმით გამოკვეთს აკაკის, მართლაც, განსაკუთრებულ დამოკიდებულებას ძველ ქართულ სალიტერატურო ენასთან.

ეს ფაქტი, რა თქმა უნდა, სრულიადაც არ ეწინააღმდეგება იმ აზრს, რომ იგი იმ თაობის წარმომადგენელია, რომელმაც თამამად უარყო ძველი ენობრივი ნორმები და ხელი შეუწყო სალიტერატურო ენის დემოკრატიზაციის (სასაუბრო ენასთან დაახლოების) პროცესს.

## Characteristics of Old Georgian Literary Language in Akaki Tsereteli's Works

Geldiashvili Nunu

Iakob Gogebashvili Telavi State University

### Abstract

Literary Works by Akaki Tsereteli are considered as versatile and diverse. In his works he touches upon almost everything by his poetry, prose, journalism or public work. It is obvious that he established "a type of versatile writer who is equally engaged in prose, poetry, journalism, dramaturgy, translations,

children's literature and fables". He was an extremely optimistic person who deeply believed in the future. The following words from one of his works seem amazingly and expressive: "Even if you kill a swallow, Spring will definitely come". Connection between the old and the new forms, that is clearly shown within this emotionally colored expression, has become the goal of the research. We tried to find an answer to the question- what is the role of using old Georgian forms in Akaki's work?!

Given paper analyses the samples such as: 1. Using proper name by its stem form in nominative case; 2. Ending words by - მან [-man] in the ergative form; 3. Full stems of demonstrative pronouns - 'ამ' [am] , 'ეგ' [eg] (=this, that); 4. Using postposition – 'ზე' [ze] (=on), along with the forms - ზედ [-zed] and - ზედა [-zeda] (=on, over); 5. instrumental case forms formed by a suffix - ით [-it] (=with) (without postpositions); 6. Postposition and full agreement of attribute and antecedent 7. Characteristics of using inflection as a reflection of Old Georgian (გწყალობდესთ [gtskalobdet]...; გამოვჰკითხავ [gamovhkitkhav]...; ჰვამ [hvsvam]...; ჰნისნავს [hnishnavs]...; წარმოსთქვა [tsarmostkva]...; გასტეხე [gastekhe]...); 8. Using conjunction - ვით [vit] (=as/like) for comparison and so on.

If we ask questions concerning the function of old Georgian forms in Akaki Tsereteli's works, it becomes clear that they can be used for: 1. rhythm, emotiveness and expressiveness; 2. Preserving traditional forms, to maintain the connection between old and new Georgian. It should be mentioned that similar forms are equally reflected in Akaki's prose and poetry which further reinforces the idea in favor of showing the connection between the old and the new and the desire to maintain this connection and always remember where we come from and who we are ... .

This fact does not completely contradict the idea that Akaki is a representative of the generation that courageously rejected the old linguistic norms and contributed to the democratization (rapprochement process with the spoken language) of the literary language.

**Key Words:** old literary language, characteristics, Akaki Tsereteli.